



## სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

10 ოქტომბერი 2024



N 581/ს

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**ქ. რუსთავში, სს „რუსთავის აზოტის“ ქიმიური საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (დაბალი სიმკვრივის ამონიუმის გვარჯილას გრანულაციის საწარმოო ხაზის მოწყობა და 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის გაფართოება) სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ**

სს „რუსთავის აზოტის“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ქ. რუსთავში არსებული ქიმიური საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (დაბალი სიმკვრივის ამონიუმის გვარჯილას გრანულაციის საწარმოო ხაზის მოწყობა და 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის გაფართოება) სკრინინგის განცხადება.

2021 წლის 19 თებერვალს ქ. რუსთავში, სს „რუსთავის აზოტის“ ქიმიური საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (წარმადობის გაზრდა; სახიფათო ნარჩენების ინსინერაცია; ნარჩენების აღდგენა, გარდა არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავებისა; სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავება; 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა) გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-224). ამასთან, 2023 წლის 18 აგვისტოს აღნიშნული ქიმიური საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (ბეტონის ქარხნის მოწყობა) გაიცა სკრინინგის გადაწყვეტილება (ბრძანება №418/ს), რომლის საფუძველზე საქმიანობა არ დაექვემდებარა გზშ-ს.

აღსანიშნავია, რომ სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა სს „რუსთავის აზოტის“ კუთვნილი ობიექტის ინსპექტირება და „საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის“ 79<sup>7</sup> მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე, 2024 წლის 16 აპრილს, კომპანიის მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №089018 ოქმი. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 17 ივნისის №4-193-24 დადგენილებით, კომპანია ცნობილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, დაგეგმილია დაბალი სიმკვრივის ამონიუმის გვარჯილას გრანულაციის საწარმოო ხაზის მოწყობა, რომელიც განთავსდება არსებული მაღალი სიმკვრივის ამონიუმის გვარჯილას საამქროს ტერიტორიაზე. ამასთან, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით, გაფართოვდა ტარა-შესაფუთი მასალების დამზადების საამქროს მიმდებარედ არსებული 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენების (პოლიეთილენის და

პოლიპროპილენის მეორადი ტომრები) დროებითი შენახვის ობიექტის ტერიტორია. საწარმოს ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი ზონა, სოფ. თაზაქენდი დაშორებულია 1740 მეტრით, ხოლო საწარმოს მიმდებარედ, განთავსებულია სხვადასხვა დანიშნულების საწარმოო ობიექტები.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული დაბალი სიმკვრივის ამონიუმის გვარჯილას გრანულაციის საწარმოო ხაზი განთავსდება არსებული მაღალი სიმკვრივის ამონიუმის გვარჯილას საამქროს ტერიტორიაზე, 4060 მ<sup>2</sup> ფართობის მქონე საწარმოო შენობაში, რომლის ზომები იქნება 70 მ x 58 მ. ახალი საწარმოო ხაზის ფუნქციონირებისათვის გამოყენებული იქნება არსებული მაღალი სიმკვრივის ამონიუმის გვარჯილას საამქროს ამონიუმის ნიტრატის სინთეზის რეაქტორები, ხოლო დანარჩენი ტექნოლოგიური დანადგარები განთავსდება არსებული ხაზის პარალელურად და ინტეგრირდება არსებული საამქროს ფარგლებში. დაბალი სიმკვრივის ამონიუმის გვარჯილას საწარმოო ხაზი იმუშავებს წელიწადში 330 დღე, 24-საათიან რეჟიმში, ხოლო წარმადობა იქნება წელიწადში 206 250 ტონა. დაბალი სიმკვრივის ამონიუმის გვარჯილას წარმოების ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენებული იქნება: ამიაკი, აზოტმჟავა, ანტიშეგოზვის აგენტი, მყარი დანამატი, ბუნებრივი აირი და წყალი. ტექნოლოგიური პროცესი მოიცავს ამონიუმის ნიტრატის ხსნარის კონცენტრირებას, გრანულირებას, გრანულების შრობას, მფარავი შრით დაფარვას და ტომრებში დაფასოებას. დაფასოებული პროდუქცია განთავსდება პროდუქციის დასაწყობების უბანზე, რომელიც მოეწყობა ამონიუმის გვარჯილას და აზოტმჟავას საამქროების მიმდებარედ არსებულ თავისუფალი ტერიტორიაზე. მზა პროდუქციის დასაწყობების უბნის ფართობი იქნება 4515 მ<sup>2</sup>, ხოლო ტევადობა 4000 ტონას (ღია მოედნის ტევადობა – 1380 ტონა, დახურული მოედნის ტევადობა – 2620 ტონა). რეალიზაციის მიზნით პროდუქციის ტერიტორიიდან გატანა განხორციელდება საავტომობილო ან სარკინიგზო ტრანსპორტის გამოყენებით. ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით, მაღალი სიმკვრივის ამონიუმის გვარჯილას არსებული ხაზის წარმადობის გაზრდას ადგილი არ ექნება.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, დაბალი სიმკვრივის ამონიუმის გვარჯილის გრანულაციის საწარმოო ხაზის მოწყობა არ იქნება დაკავშირებული მასშტაბურ სამშენებლო სამუშაოებთან. ტექნოლოგიური დანადგარ-მოწყობილობები ობიექტზე შევა მზა სახით, რომელთა დასამონტაჟებლად მოეწყობა შესაბამისი საძირკვლები. საძირკვლების მოწყობის პროცესში ექსკავირებული გრუნტი გამოყენებული იქნება უკუყრილის სახით. ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები გაგრძელდება დაახლოებით 6-8 თვის განმავლობაში და გამოყენებული იქნება: ექსკავატორი, ფრონტალური ავტოდამტვირთველი, 2 თვითმცლელი, 2 მაღალი ტვირთამწეობის ავტომანქანა, 2 მობილური ამწე.

სკრინინგის განცხადების თანახმად, დაბალი სიმკვრივის ამონიუმის გვარჯილას ტექნოლოგიურ პროცესში გამოსაყენებელი წყლის აღება მოხდება მაღალი სიმკვრივის ამონიუმის გვარჯილას საამქროს წყალმომარაგების სისტემიდან. ტექნოლოგიური ხაზისათვის გათვალისწინებულია ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემის მოწყობა, რომლის საშუალებით ნამუშევარი წყალი, გაწმენდის შემდგომ, დაბრუნდება ტექნოლოგიურ პროცესში. ბრუნვით სისტემაში წყლის დანაკარგმა შეიძლება შეადგინოს 2-3 მ<sup>3</sup>/დღე. რაც შეეხება საწარმოო ჩამდინარე წყლებს, საწარმოო ხაზიდან გამოსული ჩამდინარე წყლები შეგროვდება დამუშავებული წყლების ავზში, საიდანაც, ტუმბოს საშუალებით, პერიოდულად გადაიტუმბება ამონიუმის ნიტრატის ხსნარის ვენტურის სკრუბერის ავზში და გამოიყენება ტექნოლოგიურ ციკლში. დაბალი სიმკვრივის ამონიუმის ნიტრატის წარმოების ტექნოლოგიური პროცესის სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩამდინარე წყლების შემადგენლობაში შედის ამონიუმის ნიტრატი, ხოლო სხვა დამაბინძურებელ ნივთიერებების წყალში მოხვედრის ალბათობა მინიმალურია. წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების მაქსიმალური რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 4-5 მ<sup>3</sup>/დღე-ს.

ამონიუმის ნიტრატის ხსნარის ვენტურის სკრუბერის ავზში მიწოდებამდე გათვალისწინებულია ჩამდინარე წყლების დაბინძურების ხარისხის შემოწმება, სინჯის აღებით. თუ კვლევის შედეგების მიხედვით, წყალი დაბინძურებულია, მისი გადატუმბვა მოხდება ჩამდინარე წყლების ავზში, რომელიც აღჭურვილია ფილტრით. დაბინძურებული წყლის ავზიდან, გაწმენდილი წყლის დაბრუნება მოხდება ტექნოლოგიურ ციკლში და შესაბამისად, ჩამდინარე წყლების ჩაშვებას ადგილი არ ექნება.

სკრინინგის განცხადების თანახმად, გზშ-ის ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის და წინასწარი დამუშავების ობიექტის განთავსება გათვალისწინებული იყო ტარა-შესაფუთი მასალების დამზადების საამქროს მიმდებარედ 400 მ<sup>2</sup> ფართობის მქონე ტერიტორიაზე. ობიექტზე შეტანილი ნარჩენის კოდია: 15 01 10\* (პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ტომრები), ხოლო დროებითი შენახვის და წინასწარი დამუშავების ოპერაციის კოდებია R12 და R13. ობიექტზე გათვალისწინებულია სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავება, კერძოდ, პოლიეთილენის და პოლიპროპილენის ტომრების განცალკევება. ობიექტზე მიღებული ტომრების აღდგენა წარმოებს ტარა-შესაფუთ საამქროში, სადაც წლის განმავლობაში გათვალისწინებულია 1300 ტონა პოლიეთილენის ფირის; 600 ტონა პოლიეთილენის მარცვლის; 600 ტონა პოლიპროპილენის ფქვილის; 600 ტონა პოლიპროპილენის მარცვლის წარმოება (პროდუქციის საერთო რაოდენობა შეადგენს 3 100 ტონას). აღნიშნული პროდუქციის წარმოებისათვის საჭიროა დაახლოებით ამდენივე რაოდენობის ნარჩენის მიღება, დასაწყობება და წინასწარი დამუშავება. ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში გამოვლინდა, რომ გზშ-ის ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული 400 მ<sup>2</sup> ფართობის მქონე ტერიტორია არ არის საკმარისი 3 100 ტონა პოლიეთილენის და პოლიპროპილენის მეორადი ტომრების წინასწარი დამუშავებისა და დროებითი დასაწყობებისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, არსებული 400 მ<sup>2</sup> ფართობის მქონე ტერიტორიის მიმდებარედ, დამატებით მოეწყო სახიფათო ნარჩენების დროებითი დასაწყობების უბანი (ფართობი 2983 მ<sup>2</sup>). აღნიშნული უბნის ზედაპირი დაფარულია ბეტონის საფარით, ხოლო ტერიტორია შემოღობილია მავთულბადის ღობით. ტერიტორიის შუა ნაწილზე გაყვანილია სანიაღვრე წყლების შემკრები ბეტონის არხი, საიდანაც სანიაღვრე წყლის მიწოდება ხდება 7,161 მ<sup>3</sup> მოცულობის მქონე არსებულ ორსექციან სალექარში, რომელიც უზრუნველყოფს სახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსების ობიექტის ორივე უბანზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების საერთო მოცულობის ნორმირებულ დონემდე გაწმენდას. სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების დაბინძურებას ძირითადად ადგილი აქვს სასუქების ნარჩენებით და ნავთობპროდუქტებით. არსებული ორსექციანი სალექარის პირველი სექცია წარმოადგენს ზეთდამჭერს და უზრუნველყოფს სანიაღვრე ჩამდინარე წყლებიდან ნავთობპროდუქტების მოცილებას, ხოლო მეორე სექციაში დაგროვილ სანიაღვრე წყლებს უტარდება ქიმიური ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში ხდება მისი ნეიტრალიზაცია ამიაკის წყლით, რის შემდგომაც შესაბამის დონემდე გაწმენდილი წყლის ჩაშვება ხდება საკანალიზაციო კოლექტორში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების მასშტაბის გათვალისწინებით, აღნიშნული სამუშაოები არ იქნება დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან. რაც შეეხება ობიექტის ფუნქციონირებას, დოკუმენტში, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, წარმოდგენილია საწარმოს ფუნქციონირების პროცესში ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებების გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები და აღნიშნული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები. გაბნევის გაანგარიშება შესრულდა საწარმოს ტერიტორიაზე არსებული ყველა გაფრქვევის წყაროს ერთდროულად ფუნქციონირების პირობებში,

კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით. მიღებული შედეგების თანახმად, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების კონცენტრაცია, 500-მეტრიან ნორმირებულ საზღვარზე, ისევე, როგორც უახლოეს დასახლებულ პუნქტთან არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულად დასაშვებ ნორმებს.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების მასშტაბის გათვალისწინებით, აღნიშნული სამუშაოები არ იქნება დაკავშირებული ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან. რაც შეეხება საწარმოს ფუნქციონირების ეტაპს, დოკუმენტში, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, წარმოდგენილია საწარმოს ფუნქციონირების პროცესში მოსალოდნელი ხმაურის გავრცელების გაანგარიშება, რომელიც შესრულდა უარესი სცენარით, ხმაურწარმომქმნელი დანადგარების ერთდროულად მუშაობის პირობებში. ამასთან, გაანგარიშებისას მხედველობაში არ ყოფილა მიღებული ხმაურწარმომქმნელი წყაროების შენობებში განთავსების ფაქტი, საწარმოს ტერიტორიაზე წარმოდგენილი მცენარეული საფარი და ასევე, საწარმოსა და საცხოვრებელ ზონას შორის არსებული ბუნებრივი და ხელოვნური ბარიერები, რაც ამცირებს ხმაურის გავრცელებას. მიღებული შედეგების მიხედვით, უახლოესი დასახლებული პუნქტის საზღვართან მოსალოდნელი ხმაურის დონე შეადგენს 34 დბა-ს. შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ იქნება დაკავშირებული ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების გაზრდასთან.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით, ობიექტზე წარმოქმნილი ნარჩენები არ იქნება განსხვავებული კომპანიის მიერ შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმაში ასახული ნარჩენების ნუსხისაგან. დაბალი სიმკვრივის ამონიუმის გვარჯილას წარმოების ტექნოლოგიური პროცესი უნარჩენოა, ხოლო სხვა ნარჩენებიდან აღსანიშნავია შესაფუთი მასალები, სამშენებლო ნარჩენები, მყარი მუნიციპალური ნარჩენები და სხვა.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული არსებული ქიმიური საწარმოს ანთროპოგენურად სახეცვლილ ტერიტორიაზე. შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ იქნება დაკავშირებული ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების ზრდასთან.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

**ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,**

### **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქ. რუსთავში, სს „რუსთავის აზოტის“ ქიმიური საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება (დაბალი სიმკვრივის ამონიუმის გვარჯილას

- გრანულაციის საწარმოო ხაზის მოწყობა და 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის გაფართოება) არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. სს „რუსთავის აზოტი“ ვალდებულია, საქმიანობა განახორციელოს 2021 წლის 19 თებერვალს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-224) განსაზღვრული პირობების შესაბამისად, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით;
  3. სს „რუსთავის აზოტი“ ვალდებულია, დაბალი სიმკვრივის ამონიუმის გვარჯილას გრანულაციის საწარმოო ხაზის ექსპლუატაციაში შესვლამდე, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, უზრუნველყოს განახლებული „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის“ სააგენტოსთან შეთანხმება, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე, უზრუნველყოს სააგენტოსთან შეთანხმებული გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის შესრულება;
  4. სს „რუსთავის აზოტი“ ვალდებულია, დაბალი სიმკვრივის ამონიუმის გვარჯილას გრანულაციის საწარმოო ხაზის ექსპლუატაციაში შესვლამდე, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, უზრუნველყოს განახლებული ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის გეგმის სააგენტოსთან შეთანხმება, სადაც მოცემული იქნება საანგარიშო, ინსტრუმენტული და უწყვეტი ინსტრუმენტული თვითმონიტორინგის მეთოდები, საკონტროლო ნივთიერებათა კონცენტრაციები, გაზომვის სიხშირეები და გაფრქვევის წყაროების GPS კოორდინატები;
  5. სს „რუსთავის აზოტი“ ვალდებულია, სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 2 თვის ვადაში, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, უზრუნველყოს 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენების დროებითი დასაწყობების ობიექტზე ნარჩენების დროებითი დასაწყობების მეთოდებისა და პირობების შესახებ ინფორმაციის სააგენტოში წარმოდგენა, რომელიც შესაბამისი იქნება „სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №145 დადგენილებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან;
  6. სს „რუსთავის აზოტი“ ვალდებულია, სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 2 თვის ვადაში, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, უზრუნველყოს მოსალოდნელი ნარჩენების (კოდები, დასახლება, რაოდენობა და შემდგომი მართვის ღონისძიებები) შესახებ ინფორმაციის სააგენტოში წარმოდგენა;
  7. სს „რუსთავის აზოტისთვის“ ზემოაღნიშნული პირობები წარმოადგენს 2021 წლის 19 თებერვალს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-224) განსაზღვრული პირობების განუყოფელ ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა;
  8. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „რუსთავის აზოტს“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
  9. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „რუსთავის აზოტის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
  10. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
  11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/581-21-4-202410101634>

